ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №167

ქ. ბათუმი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]” ქვეპუნქტის თანახმად, ერთი მხრივ შპს ”შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი ცენტრი” წარმოდგენილი დირექტორი დავით ლეკვეიშვილი (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორე შპს „ოთო-555“ წარმოდგენილი დირექტორი ზაზა ანთაძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), გამარტივებული შესყიდვის შედეგად დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე „მიმწოდებელი“ ვალდებულია უზრუნველყოს „შემსყიდველისთვის“ დანართი №1–ში გათვალისწინებული საქონლის მიწოდება (CPV-44600000;44611000);

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 400.00 (ოთხასი)ლარს.

2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მოწოდებული საქონლის შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

4. მიწოდების ვადა, მომსახურების მიღება – ჩაბარების წესი

4.1 საქონლის მოწოდება უნდა მოხდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.2 საქონელი და მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ.

4.3 მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები.

4.4 შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი წარმომადგენელია შპს ”შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი ცენტრის” ლოჯისტიკის სამსახურის უფროსი ვლადიმერ ჟორჟოლიანი.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

5.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის მიერ უფლებამოსილი პირ(ებ)ი.

6. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის

6.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ყოველ დაგვიანებულ დღისათვის მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,02% პროცენტის ოდენობით;

6.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადაჭარბებს ხელშეკრულების ფასის 0,2% პროცენტს, მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება;

6.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

6.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

7.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.3 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

8. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9. სადაო საკითხების გადაწყვეტა

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

11. სხვა პირობები

11.1 არცერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
11.2 ყველა სხვა საკითხი, რაც გათვალისწინებული არ არის ამ ხელშეკრულებით გადაწყდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
11.3 ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია სამ ეგზემპლარად, ორი ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან", ერთი ინახება „მიმწოდებელთან".

12. მხარეთა რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
შპს "შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის	შპს „ოთო-555"
შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი ცენტრი"	ს/ნ 448382633
ს/ნ 245626443	ხელვაჩაური, სოფელი ფერია
ქ. ბათუმი, შ.რუსთაველის ქ.N51	
ბანკის კოდი: LBRTGE22	ბანკის კოდი: BAGAGE22
სს „ლიბერთი ბანკი"	სს „საქართველოს ბანკი"
ა/ნ GE96LB0113131624387001	ა/ნ GE35BG0000000340049200

დირექტორი:	დ.ლეკვეიშვილი	დირექტორი:	ზ.ანთაძე

Zaza Antadze

Подписано цифровой подписью: Zaza Antadze
Дата: 2019.10.17 14:29:09 +04'00'

ფასების ცხრილი

№	დასახელება	CPV-კოდი	რაოდენობა	ერთ.ფასი (ლარი) (დღგ–ს ჩათვლით)	საერთო ფასი (ლარი) (დღგ–ს ჩათვლით)
1	500 ლტ. პოლიეთილენის ავზი ვერტიკალური	CPV-44611000	2	200.00	400.00
ჯამი				**400.00**	

Zaza Antadze

Подписано цифровой подписью: Zaza Antadze
Дата: 2019.10.17 14:30:19 +04'00'

_____
„შემსყიდველი“

_____
„მიმწოდებელი

შპს ”შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი ცენტრი”

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. ბათუმი

ხელმოწერით ვადასტურებ, რომ ჩვენი მონაწილეობა, შპს ”შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელ სამეცნიერო კვლევით ცენტრსა” და შპს “ოთო-555“-ს შორის 2019 წლის 16 ოქტომბერს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N167-ის გაფორმებისას არ ეწინააღმდეგება ”სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

დირექტორი: დ.ლეკვეიშვილი

ლოჯისტიკის სამსახურის უფროსი: ვ. ჟორჟოლიანი